განათლებისა და
მეცნიერების სამინისტრო

დიმიტრი უზნაძის N52
0102 თბილისი, საქართველო
+995 32 2200 220
pr@mes.gov.ge

MES 4 23 0001257414

28/09/2023

უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებებს

როგორც თქვენთვის ცნობილია, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროში მოქმედებს სტუდენტთა სახელმწიფო სასწავლო სამაგისტრო გრანტით დაფინანსების სოციალური პროგრამა, რომელსაც ყოველი სასწავლო წლისთვის, სამინისტროს წარდგინებით, განსაზღვრავს საქართველოს მთავრობა. 2023 წლის 18 აგვისტოს №323 დადგენილებით განისაზღვრა "2023-2024 სასწავლო წელს უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებებში მაგისტრატურის აკრედიტებულ უმაღლეს საგანმანათლებლო პროგრამებზე ჩარიცხული მაგისტრანტების სოციალური პროგრამის ფარგლებში სახელმწიფო სასწავლო სამაგისტრო გრანტით დაფინანსების ოდენობისა და პირობების განსაზღვრის შესახებ".

აღნიშნული მთავრობის დადგენილება ითვალისწინებს საერთო სამაგისტრო გამოცდების შედეგების საფუძველზე, უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების აკრედიტებულ უმაღლეს საგანმანათლებლო პროგრამებზე ჩარიცხული გარკვეული კატეგორიის სტუდენტების სახელმწიფო სასწავლო სამაგისტრო გრანტით დაფინანსებას. სოციალური პროგრამის ფარგლებში სწავლის დაფინანსებასთან დაკავშირებით, განაცხადები მიიღება მხოლოდ ონლაინ რეჟიმში **2023 წლის 11 ოქტომბრიდან 2022 წლის 25 ოქტომბრის ჩათვლით** http://socreg.mes.gov.ge პორტალზე რეგისტრაციით. ელექტრონული რეგისტრაციის პორტალზე გადასვლა შესაძლებელია საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს ვებგვერდიდან (ბანერი - სტუდენტთა დაფინანასება სოციალური პროგრამის ფარგლებში).

გიგზავნით საქართველოს მთავრობის 2023 წლის 18 აგვისტოს N323 დადგენილებას და საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2023 წლის 26 სექტემბრის N1238531 ბრძანებას „საქართველოს მთავრობის 2023 წლის 18 აგვისტოს №323 დადგენილებით განსაზღვრული სოციალური პროგრამის ფარგლებში სახელმწიფო სასწავლო სამაგისტრო გრანტის მოსაპოვებლად განცხადების ელექტრონული რეგისტრაციის წესისა და ვადების, საჭირო დოკუმენტების ნუსხისა და განცხადებების განხილვის წესის დამტკიცების შესახებ"

გთხოვთ, გაეცნოთ და უზრუნველყოთ ინფორმაციის გავრცელება.

დანართი: საქართველოს მთავრობის 2023 წლის 18 აგვისტოს N323 დადგენილება და საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2023 წლის 26 სექტემბრის N1238531 ბრძანება

საქართველოს განათლებისა და მეცნიერების
სამინისტრო
უმაღლესი განათლების განვითარების
დეპარტამენტი
დეპარტამენტის უფროსი
წერეთელი ნინო

საქართველოს მთავრობის
დადგენილება

N 323 2023 წლის 18 აგვისტო ქ. თბილისი

2023-2024 სასწავლო წელს საქართველოს უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებებში მაგისტრატურის აკრედიტებულ უმაღლეს საგანმანათლებლო პროგრამებზე ჩარიცხული მაგისტრანტების სოციალური პროგრამის ფარგლებში სახელმწიფო სასწავლო სამაგისტრო გრანტით დაფინანსების ოდენობისა და პირობების განსაზღვრის შესახებ

საქართველოს უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებებში მაგისტრატურის აკრედიტებული უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამით განათლების მიღების ხელშეწყობის მიზნით, „უმაღლესი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-6 მუხლის პირველი პუნქტის „გ[3]“ ქვეპუნქტის შესაბამისად, დაფინანსება განხორციელდეს შემდეგი სახით:

მუხლი 1. დაფინანსების ოდენობა და დაფინანსების მიღების უფლების მქონე პირი

1. 2023-2024 სასწავლო წელს საქართველოს უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებებში მაგისტრატურის აკრედიტებულ უმაღლეს საგანმანათლებლო პროგრამებზე ჩარიცხულ მაგისტრანტთა სოციალური პროგრამის ფარგლებში სახელმწიფო სასწავლო სამაგისტრო გრანტით დაფინანსებისთვის გამოიყოს 205 000 (ორას ხუთი ათასი) ლარი.

2. სოციალური პროგრამის ფარგლებში 2023-2024 სასწავლო წლისთვის სახელმწიფო სასწავლო სამაგისტრო გრანტი გაიცემა უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების მაგისტრატურის აკრედიტებული უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამის საფასურის ოდენობით, მაგრამ არა უმეტეს 2250 (ორი ათას ორას ორმოცდაათი) ლარისა.

3. სოციალური პროგრამის ფარგლებში დაფინანსება შეიძლება, მოიპოვოს მაგისტრანტმა, რომელიც მაგისტრატურის აკრედიტებულ უმაღლეს საგანმანათლებლო პროგრამაზე ჩაირიცხა საერთო სამაგისტრო გამოცდების შედეგებით.

4. ამ მუხლის პირველი პუნქტით გათვალისწინებული თანხა გადანაწილდეს უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებებში მაგისტრატურის აკრედიტებულ უმაღლეს საგანმანათლებლო პროგრამებზე საერთო სამაგისტრო გამოცდების შედეგად ჩარიცხული შემდეგი კატეგორიის მაგისტრანტების დაფინანსებისათვის:

ა) 22 500 (ოცდაორი ათას ხუთასი) ლარი – 2023 წლის საერთო სამაგისტრო გამოცდების შედეგად ჩარიცხული მაგისტრანტებისთვის, რომლებიც არიან: საქართველოს ტერიტორიული მთლიანობისათვის, თავისუფლებისა და დამოუკიდებლობისათვის დაღუპულთა, უგზო-უკვლოდ დაკარგულთა და მიღებული ჭრილობების შედეგად გარდაცვლილთა შვილები; 1998 წლის მაისისა და 2004 წლის აგვისტოს მოვლენების დროს დაღუპულთა შვილები; საქართველოს ტერიტორიული მთლიანობისათვის, თავისუფლებისა და დამოუკიდებლობისათვის საბრძოლო მოქმედების შედეგად მკვეთრად/მნიშვნელოვნად გამოხატული შეზღუდული შესაძლებლობის მქონე ვეტერანები ან მათი შვილები;

ბ) 11 250 (თერთმეტი ათას ორას ორმოცდაათი) ლარი – 2022 წლის საერთო სამაგისტრო გამოცდების შედეგად ჩარიცხული მაგისტრანტებისათვის, რომლებიც არიან: საქართველოს ტერიტორიული მთლიანობისათვის, თავისუფლებისა და დამოუკიდებლობისათვის

დაღუპულთა, უგზო-უკვლოდ დაკარგულთა და მიღებული ჭრილობების შედეგად გარდაცვლილთა შვილები; 1998 წლის მაისისა და 2004 წლის აგვისტოს მოვლენების დროს დაღუპულთა შვილები; საქართველოს ტერიტორიული მთლიანობისათვის, თავისუფლებისა და დამოუკიდებლობისათვის საბრძოლო მოქმედების შედეგად მკვეთრად/მნიშვნელოვნად გამოხატული შეზღუდული შესაძლებლობის მქონე ვეტერანები ან მათი შვილები;

გ) 9 000 (ცხრა ათასი) ლარი – 2023 წლის საერთო სამაგისტრო გამოცდების შედეგად ჩარიცხული მაგისტრანტებისთვის, რომლებიც არიან: საერთაშორისო მშვიდობისა და უსაფრთხოების შენარჩუნებისა და აღდგენის ოპერაციებში ან სხვა სახის სამშვიდობო საქმიანობის განხორციელებისას გარდაცვლილი ან ამ მისიებში მიღებული ჯანმრთელობის დაზიანების შედეგად გარდაცვლილი საქართველოს თავდაცვის სამინისტროს სამხედრო მოსამსახურეების შვილები; საერთაშორისო მშვიდობისა და უსაფრთხოების შენარჩუნებისა და აღდგენის ოპერაციებში ან სხვა სახის სამშვიდობო საქმიანობის განხორციელების შედეგად მკვეთრად/მნიშვნელოვნად გამოხატული შეზღუდული შესაძლებლობის სტატუსის მქონე პირები ან მათი შვილები;

დ) 4 500 (ოთხი ათას ხუთასი) ლარი – 2022 წლის საერთო სამაგისტრო გამოცდების შედეგად ჩარიცხული მაგისტრანტებისთვის, რომლებიც არიან: საერთაშორისო მშვიდობისა და უსაფრთხოების შენარჩუნებისა და აღდგენის ოპერაციებში ან სხვა სახის სამშვიდობო საქმიანობის განხორციელებისას გარდაცვლილი ან ამ მისიებში მიღებული ჯანმრთელობის დაზიანების შედეგად გარდაცვლილი საქართველოს თავდაცვის სამინისტროს სამხედრო მოსამსახურეების შვილები; საერთაშორისო მშვიდობისა და უსაფრთხოების შენარჩუნებისა და აღდგენის ოპერაციებში ან სხვა სახის სამშვიდობო საქმიანობის განხორციელების შედეგად მკვეთრად/მნიშვნელოვნად

გამოხატული შეზღუდული შესაძლებლობის სტატუსის მქონე პირები ან მათი შვილები;

ე) 4 500 (ოთხი ათას ხუთასი) ლარი – 2023 წლის საერთო სამაგისტრო გამოცდების შედეგად ჩარიცხული მაგისტრანტებისთვის, რომლებიც არიან საქართველოს თავდაცვის სამინისტროს სისტემაში სამსახურებრივი მოვალეობის შესრულებისას დაღუპული სამხედრო მოსამსახურეების შვილები;

ვ) 2 250 (ორი ათას ორას ორმოცდაათი) ლარი – 2022 წლის საერთო სამაგისტრო გამოცდების შედეგად ჩარიცხული მაგისტრანტებისთვის, რომლებიც არიან საქართველოს თავდაცვის სამინისტროს სისტემაში სამსახურებრივი მოვალეობის შესრულებისას დაღუპული სამხედრო მოსამსახურეების შვილები;

ზ) 22 500 (ოცდაორი ათას ხუთასი) ლარი – 2023 წლის საერთო სამაგისტრო გამოცდების შედეგად ჩარიცხული მაგისტრანტებისათვის, რომლებიც არიან მკვეთრად/მნიშვნელოვნად/ზომიერად გამოხატული შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირები;

თ) 11 250 (თერთმეტი ათას ორას ორმოცდაათი) ლარი – 2022 წლის საერთო სამაგისტრო გამოცდების შედეგად ჩარიცხული მაგისტრანტებისათვის, რომლებიც არიან მკვეთრად/მნიშვნელოვნად/ ზომიერად გამოხატული შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირები;

ი) 117 250 (ას ჩვიდმეტი ათას ორას ორმოცდაათი) ლარი – 2023 წლის საერთო სამაგისტრო გამოცდების შედეგად ჩარიცხული მაგისტრანტებისათვის, რომლებიც რეგისტრირებულნი არიან სოციალურად დაუცველი ოჯახების მონაცემთა ერთიან ბაზაში და მათი ოჯახების სარეიტინგო ქულა ტოლია ან ნაკლებია 70 000-ზე.

მუხლი 2. დაფინანსების პრინციპი

1. თუ ამ დადგენილების პირველი მუხლის მე-4 პუნქტით განსაზღვრული კატეგორიებისთვის გათვალისწინებული თანხა არ არის საკმარისი ამავე კატეგორიაში შემავალი ყველა მაგისტრანტის დასაფინანსებლად, თანხა გაიცემა საერთო სამაგისტრო გამოცდის აბსოლუტური ქულით რანჟირების საფუძველზე, მაგისტრანტთა შორის უმაღლესი ქულის მქონე მაგისტრანტებზე.

2. თუ ამ დადგენილების პირველი მუხლის მე-4 პუნქტით განსაზღვრულ კატეგორიებში მაგისტრანტებმა, საერთო სამაგისტრო გამოცდის აბსოლუტური ქულით რანჟირების შესაბამისად, თანაბარი ქულები მოიპოვეს და გამოყოფილი თანხა ყველა მათგანის დაფინანსებისთვის არ არის საკმარისი, დაფინანსება არ გაიცემა.

3. მაგისტრანტი, რომელიც განეკუთვნება ამ დადგენილების პირველი მუხლის მე-4 პუნქტით გათვალისწინებულ 2 ან მეტ კატეგორიას, დაფინანსებას მოიპოვებს ერთ-ერთ კატეგორიაში, ამ დადგენილების პირველი მუხლის მე-4 პუნქტით განსაზღვრული თანმიმდევრობის დაცვით.

მუხლი 3. დარჩენილი თანხის გადანაწილება

1. თუ ამ დადგენილების პირველი მუხლის მე-4 პუნქტით განსაზღვრული კატეგორიებისთვის გათვალისწინებული თანხა სრულად არ გაიცა ამავე კატეგორიით გათვალისწინებულ პირებზე და რომელიმე კატეგორიაში დარჩენილია დასაფინანსებელ მაგისტრანტთა რაოდენობა, დარჩენილი თანხა გაიცემა ამ დადგენილების პირველი მუხლის მე-4 პუნქტით გათვალისწინებული თანმიმდევრობით.

2. თუ ამ მუხლის პირველი პუნქტით გათვალისწინებული გადანაწილების შემდეგ თანხა სრულად არ გაიცა, დარჩენილი თანხა, 2022 წლის საერთო სამაგისტრო გამოცდის აბსოლუტური ქულით რანჟირების საფუძველზე, განაწილდება უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებაში 2022-2023 სასწავლო წელს ჩარიცხულ მაგისტრანტებზე, რომლებიც

რეგისტრირებულნი არიან სოციალურად დაუცველი ოჯახების მონაცემთა ერთიან ბაზაში და მათი ოჯახების სარეიტინგო ქულა ტოლია ან ნაკლებია 70 000-ზე.

3. თუ ამ მუხლის მე-2 პუნქტით განსაზღვრული დარჩენილი თანხა არ არის საკმარისი ამ მუხლის მე-2 პუნქტით განსაზღვრული ყველა მაგისტრანტის დასაფინანსებლად, თანხა გაიცემა 2022 წლის საერთო სამაგისტრო გამოცდის აბსოლუტური ქულით რანჟირების საფუძველზე, მაგისტრანტთა შორის უმაღლესი ქულის მქონე მაგისტრანტებზე.

4. თუ ამ მუხლის მე-2 პუნქტით განსაზღვრულ კატეგორიაში მაგისტრანტებმა, საერთო სამაგისტრო გამოცდის აბსოლუტური ქულით რანჟირების შესაბამისად, თანაბარი ქულები მოიპოვეს და გამოყოფილი თანხა ყველა მათგანის დაფინანსებისთვის არ არის საკმარისი, დაფინანსება არ გაიცემა.

მუხლი 4. განცხადების წარდგენა და გადაწყვეტილება დაფინანსების მინიჭების შესახებ

1. ამ დადგენილების პირველი მუხლის მე-4 პუნქტითა და მე-3 მუხლის მე-2 პუნქტით გათვალისწინებული მაგისტრანტები სოციალური პროგრამის ფარგლებში დაფინანსების მისაღებად განცხადებას არეგისტრირებენ ელექტრონულად, ვებგვერდზე – http://socreg.mes.gov.ge, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტით განსაზღვრულ ვადებში.

2. განცხადების ელექტრონული რეგისტრაციის წესი და ვადები, საჭირო დოკუმენტების ნუსხა და განცხადებების განხილვის წესი მტკიცდება საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტით.

3. სოციალური პროგრამის ფარგლებში სახელმწიფო სასწავლო სამაგისტრო გრანტით დაფინანსების მინიჭების შესახებ გადაწყვეტილების

მიღების მიზნით, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტრო (შემდგომში – სამინისტრო) უფლებამოსილია, სტუდენტების შესახებ ინფორმაცია მიიღოს სსიპ – შეფასებისა და გამოცდების ეროვნული ცენტრიდან, სსიპ – განათლების მართვის საინფორმაციო სისტემიდან, სსიპ – ვეტერანების საქმეთა სახელმწიფო სამსახურიდან, საქართველოს თავდაცვის სამინისტროდან, სხვადასხვა სამინისტროდან და მათ დაქვემდებარებაში მყოფი საჯარო სამართლის იურიდიული პირებიდან, ასევე, საჭიროების შემთხვევაში, უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებებიდან.

4. სოციალური პროგრამის ფარგლებში სახელმწიფო სასწავლო სამაგისტრო გრანტით დაფინანსების მინიჭების შესახებ გადაწყვეტილებას იღებს საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრი, ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტით.

მუხლი 5. პროგრამის გავრცელება და ხელმისაწვდომობა

2023-2024 სასწავლო წელს საქართველოს უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებებში მაგისტრატურის აკრედიტებულ უმაღლეს საგანმანათლებლო პროგრამებზე ჩარიცხულ მაგისტრანტთა სოციალური პროგრამის ფარგლებში, სახელმწიფო სასწავლო სამაგისტრო გრანტით დაფინანსების შესახებ დაინტერესებული პირების ინფორმირების მიზნით, სამინისტრომ უზრუნველყოს ამ დადგენილების, ასევე მე-4 მუხლის მე-2 პუნქტით განსაზღვრული საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებებისათვის მიწოდება და ინფორმაციის სამინისტროს ოფიციალურ ვებგვერდზე განთავსება.

მუხლი 6. დადგენილება ამოქმედდეს გამოქვეყნებისთანავე.

პრემიერ-მინისტრი **ირაკლი ღარიბაშვილი**

განათლებისა და
მეცნიერების მინისტრი

ბრძანება

MES 3 23 0001238531

26/09/2023

თბილისი

საქართველოს მთავრობის 2023 წლის 18 აგვისტოს №323 დადგენილებით განსაზღვრული სოციალური პროგრამის ფარგლებში სახელმწიფო სასწავლო სამაგისტრო გრანტის მოსაპოვებლად განცხადების ელექტრონული რეგისტრაციის წესისა და ვადების, საჭირო დოკუმენტების ნუსხისა და განცხადებების განხილვის წესის დამტკიცების შესახებ

„საქართველოს მთავრობის სტრუქტურის, უფლებამოსილებისა და საქმიანობის წესის შესახებ“ საქართველოს კანონის 21-ე მუხლის, „საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს დებულების დამტკიცების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2021 წლის 19 მარტის №118 დადგენილების პირველი მუხლით დამტკიცებული „საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს დებულების“ მე-3 მუხლის მე-2 პუნქტის „ა“ და „ლ“ ქვეპუნქტებისა და მე-4 მუხლის მე-5 პუნქტის, ,,2023 – 2024 სასწავლო წელს საქართველოს უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებებში მაგისტრატურის აკრედიტებულ უმაღლეს საგანმანათლებლო პროგრამებზე ჩარიცხული მაგისტრანტების სოციალური პროგრამის ფარგლებში სახელმწიფო სასწავლო სამაგისტრო გრანტით დაფინანსების ოდენობისა და პირობების განსაზღვრის შესახებ” საქართველოს მთავრობის 2023 წლის 18 აგვისტოს N323 დადგენილების მე-4 მუხლის მე-2 პუნქტის, ,,ნოდარ პაპუკაშვილისთვის საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის უფლებამოსილების დაკისრების შესახებ'' საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2023 წლის 20 სექტემბრის N1201919 ბრძანების, „სამართლებრივი აქტების პროექტების შემუშავების მიზნით ინიციატივების/პროექტების წარმოდგენის წესი და ვადების დამტკიცების შესახებ“ საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2021 წლის 23 მარტის N272506 ბრძანების საფუძველზე და საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის მოადგილის 2023 წლის 11 სექტემბრის N1122019 სამსახურებრივი ბარათის და სსიპ განათლების მართვის საინფორმაციო სისტემის უფროსის 2023 წლის 18 სექტემბრის N1171127 წერილის გათვალისწინებით

ვბრძანებ:

1. დამტკიცდეს:
ა) ,,სოციალური პროგრამის ფარგლებში სახელმწიფო სასწავლო სამაგისტრო გრანტის მოსაპოვებლად განცხადების ელექტრონული რეგისტრაციის წესი და ვადები, განცხადებების განხილვის წესი“ ამ ბრძანების დანართი N1-ის შესაბამისად;
ბ) „სოციალური პროგრამის ფარგლებში სახელმწიფო სასწავლო სამაგისტრო გრანტის მოსაპოვებლად საჭირო დოკუმენტების ნუსხა" ამ ბრძანების დანართი N2-ის შესაბამისად.
2. ბრძანება ძალაშია ხელმოწერისთანავე.
3. ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს მისი გამოცემიდან ერთი თვის ვადაში თბილისის საქალაქო სასამართლოში (მისამართი: ქ. თბილისი, აღმაშენებლის ხეივანი N64).

საქართველოს განათლებისა და მეცნიერების
მინისტრის მოვალეობის შემსრულებელი
ნოდარ პაპუკაშვილი

დანართი N1

სოციალური პროგრამის ფარგლებში სახელმწიფო სასწავლო სამაგისტრო გრანტის მოსაპოვებლად განცხადების ელექტრონული რეგისტრაციის წესი და ვადები, განცხადებების განხილვის წესი

მუხლი 1. რეგულირების სფერო

1. ეს წესი არეგულირებს სოციალური პროგრამის ფარგლებში სახელმწიფო სასწავლო სამაგისტრო გრანტის მოსაპოვებლად განცხადებების ელექტრონული რეგისტრაციის წესს, ვადებს, განხილვის წესსა და პირობებს (შემდგომ - წესი).

2. ამ მუხლის პირველი პუნქტით განსაზღვრული განცხადებების რეგისტრაციის მიზნით, შექმნილია ელექტრონული პორტალი (შემდგომ - პორტალი), რომლის მართვისა და ადმინისტრირების პირობებს ასევე განსაზღვრავს ეს წესი.

მუხლი 2. პორტალის აღწერა

1. პორტალი წარმოადგენს სსიპ - განათლების მართვის საინფორმაციო სისტემის (შემდგომ - მართვის სისტემა) სერვერზე განთავსებულ ბაზას, რომლის მეშვეობითაც, საქართველოს მთავრობის 2023 წლის 18 აგვისტოს №323 დადგენილების (შემდგომ - დადგენილება) მიხედვით, ელექტრონულად ხორციელდება სოციალური პროგრამის ფარგლებში სტუდენტებისათვის სახელმწიფო სასწავლო სამაგისტრო გრანტის მინიჭების მიზნით, განცხადებისა და თანდართული დოკუმენტების რეგისტრაცია, მიღება და შესაბამისი ადმინისტრაციული წარმოების შედეგების ასახვა.

2. პორტალის ელექტრონული მისამართია http://socreg.mes.gov.ge/login/.

მუხლი 3. პორტალზე რეგისტრაციის და განცხადების შევსების ვადები

1. სოციალური პროგრამის ფარგლებში სახელმწიფო სასწავლო სამაგისტრო გრანტის მოსაპოვებლად დაინტერესებული სტუდენტი განცხადებას წარადგენს ელექტრონულად 2023 წლის 11 ოქტომბრიდან 2023 წლის 25 ოქტომბრის ჩათვლით.

2. სოციალური პროგრამის ფარგლებში სახელმწიფო სასწავლო სამაგისტრო გრანტის მოსაპოვებლად მონაწილეობის მიღების საფუძველია სტუდენტის განცხადება სოციალური პროგრამის ფარგლებში დაფინანსებაში მონაწილეობის მიღების შესახებ.

3. სოციალური პროგრამის ფარგლებში სახელმწიფო სასწავლო სამაგისტრო გრანტის მოსაპოვებლად დაინტერესებული სტუდენტის რეგისტრაცია და განცხადების შევსება ხორციელდება ამ წესით დადგენილი პროცედურებისა და განსაზღვრული ვადების შესაბამისად.

4. ამ მუხლის მეორე პუნქტით გათვალისწინებული განცხადება სტუდენტის მიერ ივსება პორტალზე ელექტრონული ფორმით.

5. პორტალზე რეგისტრაციის დროს სტუდენტი უთითებს შემდეგ მონაცემებს:

ა) პირადი ნომერი;

ბ) სახელი, გვარი;

გ) საკონტაქტო ტელეფონის ნომერი;

დ) ელექტრონული ფოსტის მისამართი;

ე) თანხმობა პერსონალური მონაცემების დამუშავებაზე.

6. პორტალზე რეგისტრაციისათვის და განცხადების წარდგენისთვის განმცხადებელი კანონმდებლობით დადგენილი წესით, ჩარიცხული უნდა იყოს უმაღლეს საგანმანათლებლო პროგრამაზე და მისი მონაცემები ასახული იყოს უმაღლესი განათლების მართვის საინფორმაციო სისტემაში (შემდგომ - საინფორმაციო სისტემა).

7. სტუდენტი, რომლის პირადი ნომერიც არ ფიქსირდება საინფორმაციო სისტემაში, ინფორმაციის გადამოწმების მიზნით, მიმართავს მართვის სისტემას.

8. სტუდენტის მიერ რეგისტრაციის დროს მითითებული საკონტაქტო ტელეფონის ნომრის შეცვლის შემთხვევაში, სტუდენტი ვალდებულია აღნიშნულის შესახებ ინფორმაცია წერილობითი განცხადებით დაუყოვნებლივ მიაწოდოს საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს (შემდგომ - სამინისტრო).

9. ამ მუხლის მე-8 პუნქტით განსაზღვრული ვალდებულების შეუსრულებლობის შემთხვევაში, პასუხისმგებლობა განცხადების განხილვის პროცესში სამინისტროს მიერ განმცხადებლისათვის გასაგზავნი ინფორმაციის მიუღებლობის სამართლებრივ შედეგებზე ეკისრება განმცხადებელს.

10. პორტალზე განცხადებას ვერ შეავსებს სტუდენტი, რომელმაც სწავლის უფლება მოიპოვა საერთო სამაგისტრო გამოცდების გავლის გარეშე, „უმაღლესი განათლების შესახებ" საქართველოს კანონით დადგენილი წესით.

11. განცხადების შევსების დროს სტუდენტი უთითებს:

ა) საერთო სამაგისტრო გამოცდების ჩაბარების წელს, რომლის საფუძველზეც მოიპოვა უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებაში სწავლის უფლება;

ბ) დადგენილების პირველი მუხლის მე-4 პუნქტით და მე-3 მუხლის მე-2 პუნქტით განსაზღვრულ იმ კატეგორიას/კატეგორიებს, რომელსაც განეკუთვნება.

12. სტუდენტი ვალდებულია ატვირთოს ამ მუხლის მე-11 პუნქტის „ბ" ქვეპუნქტით განსაზღვრული კატეგორიის/კატეგორიებისადმი კუთვნილების განმსაზღვრელი სათანადო დოკუმენტები, ამ ბრძანების პირველი პუნქტის ,,ბ" ქვეპუნქტით დამტკიცებული დანართი N2-ის შესაბამისად, გარდა დადგენილებით განსაზღვრული პირველი მუხლის მე-4 პუნქტის ,,ი" ქვეპუნქტისა და მე-3 მუხლის მე-2 პუნქტით განსაზღვრული კატეგორიისა.

13. თუ სტუდენტი არ ატვირთავს ამ მუხლის მე-12 პუნქტით განსაზღვრულ დოკუმენტებს სტუდენტის განცხადება არ განიხილება.

14. სტუდენტს წარდგენილ განცხადებაში მონაცემების შეცვლა, მათ შორის, დადგენილებით განსაზღვრული რომელიმე კატეგორიის დამატება/ცვლილება შეუძლია ამავე წესის მე-3 მუხლის პირველი პუნქტით განსაზღვრულ ვადებში, 2023 წლის 25 ოქტომბრის ჩათვლით.

მუხლი 4. განცხადების განხილვის პროცედურები

1. სამინისტროს უმაღლესი განათლების განვითარების დეპარტამენტი განიხილავს ელექტრონულ განცხადებებს და საჭიროების შემთხვევაში ახარვეზებს განცხადებას.

2. ამ მუხლის პირველი პუნქტით განსაზღვრული ხარვეზის დადგენის შემთხვევაში განმცხადებელი მიიღებს შეტყობინებას რეგისტრაციისას მითითებულ ტელეფონის ნომერზე და ელექტრონულ ფოსტის მისამართზე.

3. სტუდენტი ვალდებულია დადგენილი ხარვეზი გამოასწოროს 2023 წლის 3 ნოემბრის ჩათვლით.

4. ამ მუხლის მე-3 პუნქტით დადგენილი ხარვეზის გამოსწორების ვადის გასვლის შემდეგ სტუდენტის განცხადება განიხილება მხოლოდ იმ კატეგორიაში/კატეგორიებში დაფინანსების მოსაპოვებლად, რომლის დამადასტურებელი სათანადო დოკუმენტებიც წარმოდგენილია სრულყოფილად.

5. კატეგორიის/კატეგორიების ცვლილება, დასაშვებია მხოლოდ იმ სტუდენტებისთვის, რომლებმაც ამ წესის მე-3 მუხლის პირველი პუნქტით განსაზღვრულ ვადაში პორტალზე მონიშნეს კატეგორია/კატეგორიები და ატვირთეს დოკუმენტები, მაგრამ კატეგორია მონიშნეს არასწორად, მიეკუთვნებიან სხვა კატეგორიას და ამ მუხლის მე-3 პუნქტით დადგენილი ხარვეზის გამოსწორების ვადაში, წერილობითი განცხადებით მომართეს სამინისტროს, კატეგორიის/კატეგორიების ცვლილებასთან დაკავშირებით.

6. სოციალური პროგრამის ფარგლებში სახელმწიფო სასწავლო სამაგისტრო გრანტის მოპოვება შესაძლებელია, თუ განმცხადებელი აკმაყოფილებს დადგენილებით და ამ წესით განსაზღვრულ მოთხოვნებს და ,,სამაგისტრო გამოცდების ჩატარების დებულებისა და სახელმწიფო სასწავლო სამაგისტრო გრანტის განაწილების წესის დამტკიცების შესახებ" საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2009 წლის 22 აპრილის № 227 ბრძანებით დამტკიცებული ,,სამაგისტრო გამოცდების ჩატარების დებულების" 32 -ე მუხლის მე-4 პუნქტით განსაზღვრულ ვადებში გამოცემულია რექტორის ერთიანი აქტი საგანმანათლებლო დაწესებულებაში ჩარიცხვის შესახებ და ,, უმაღლესი განათლების მართვის საინფორმაციო სისტემის შექმნისა და ადმინისტრირების წესისა და პირობების დამტკიცების შესახებ" საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2021 წლის 18 ოქტომბრის №90/ნ ბრძანებით დამტკიცებული ,,უმაღლესი განათლების მართვის საინფორმაციო სისტემის შექმნისა და ადმინისტრირების წესისა და პირობების" მე-7 მუხლის მე-2 პუნქტით განსაზღვრულ ვადებში ასახულია საინფორმაციო სისტემაში.

7. დადგენილების პირველი მუხლის მე-4 პუნქტის „ი" ქვეპუნქტისა და მე-3 მუხლის მე-2 პუნქტით განსაზღვრული სტუდენტები სოციალური პროგრამის ფარგლებში სახელმწიფო სასწავლო სამაგისტრო გრანტის მოპოვებას შეძლებენ თუ აკმაყოფილებენ დადგენილების და ამ წესით განსაზღვრულ მოთხოვნებს და სსიპ - სოციალური მომსახურების სააგენტოს სოციალურად დაუცველი ოჯახების მონაცემთა ერთიან ბაზაში, 2023 წლის 25 ოქტომბრის მდგომარეობით, აქვს სარეიტინგო ქულა 70000 ან ნაკლები.

8. დადგენილების პირველი მუხლის მე-4 პუნქტის „ი" ქვეპუნქტისა და მე-3 მუხლის მე-2 პუნქტით განსაზღვრული სტუდენტების კატეგორიისადმი კუთვნილება დასტურდება სსიპ - სოციალური მომსახურების სააგენტოს სოციალურად დაუცველი ოჯახების მონაცემთა ერთიანი ბაზის მონაცემებით.

9. ინფორმაციას სოციალური პროგრამის ფარგლებში სახელმწიფო სასწავლო სამაგისტრო გრანტის მინიჭების/მინიჭებაზე უარის შესახებ განმცხადებელი მიიღებს რეგისტრაციისას მითითებულ ტელეფონის ნომერზე და ელექტრონულ ფოსტის მისამართზე.

მუხლი 5. პორტალის მართვა, ადმინისტრირება, მონაცემებზე წვდომა, კონფიდენციალობა და შენახვის ვადა

1. პორტალის ტექნიკურ ადმინისტრირებას ახორციელებს მართვის სისტემა, ხოლო პორტალზე მიმდინარე პროცესების მართვას, ახორციელებს სამინისტროს უმაღლესი განათლების განვითარების დეპარტამენტი და მართვის სისტემა.

2. პორტალზე ასახულ პერსონალურ მონაცემებზე წვდომა გააჩნია:

ა) სამინისტროს უმაღლესი განათლების განვითარების დეპარტამენტის თანამშრომლებს, რომელთაც გააჩნიათ პორტალის მონაცემებზე წვდომის შესაბამისი მასშტაბი;

ბ) მართვის სისტემის თანამშრომლებს, რომლებიც მონაწილეობენ პორტალის შექმნაში (დეველოპერი), დახვეწაში ან/და მართვაში.

3. ამ მუხლის მე-2 პუნქტით გათვალისწინებული პირები, ვალდებულნი არიან დაიცვან პორტალზე ასახული ინფორმაციის კონფიდენციალობა, არ გაამჟღავნონ ის ინფორმაცია, რომელიც მათთვის ცნობილი გახდა სამსახურებრივი მოვალეობის შესრულებისას, გარდა კანონმდებლობით გათვალისწინებული შემთხვევებისა.

4. სამინისტრო, ამ წესით განსაზღვრული ვალდებულებების განხორციელების მიზნით, უფლებამოსილია გამოიყენოს როგორც მისი კომპეტენციის ფარგლებში უკვე არსებული/დამუშავებული პერსონალური მონაცემები, ასევე გამოითხოვოს, მიიღოს და დაამუშაოს სხვა ადმინისტრაციული ორგანოების, ასევე უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების მიერ წარმოებულ მონაცემთა ბაზებში არსებული პერსონალური მონაცემები.

5. პორტალზე ასახული მონაცემები ელექტრონულად არქივდება და ინახება 75 წლის განმავლობაში. დაარქივებულ მონაცემებზე წვდომა გააჩნია სამინისტროს შესაბამისი სტრუქტურული ერთეულის თანამშრომლებს, კანონმდებლობით დადგენილი წესის შესაბამისად. 75 წლიანი ვადის გასვლის შემდგომ - მონაცემები წაიშლება.

მუხლი 6. პორტალის უსაფრთხოება

1. პორტალით შეტყობინებების გაგზავნა ხორციელდება დაცული არხის საშუალებით.
2. პორტალის უსაფრთხოდ ხელმისაწვდომლობისთვის გამოიყენება ვებ აპლიკაციის ცეცხლოვანი კედელი (WAF), რომელიც უზრუნველყოფილია ყველა ტიპის შეტევებისგან დამცავი პოლიტიკებით.
3. პორტალის გარე სისტემებთან ინტეგრაცია ხდება დაშიფრული არხით (VPN-ის - ვირტუალური კერძო ქსელის გამოყენებით).
4. პორტალის მონაცემთა ბაზაში პაროლები ინახება დაშიფრულად.
5. დაუშვებელია ავტორიზებული მომხმარებლის მიერ მომხმარებლის სახელის და პაროლის გადაცემა სხვა პირებზე. უსაფრთხოების აღნიშნული წესის დარღვევის შემთხვევაში მომხმარებელი პასუხისმგებელია არაავტორიზებული წვდომით მიღებულ შედეგზე.
6. პორტალში გამოიყენება მრავალფაქტორიანი ვერიფიკაციის მეთოდი, რაც გულისხმობს მომხმარებლის სახელისა და პაროლის სწორად მითითების შემთხვევაში, მობილურის ნომერზე, ელექტრონულ ფოსტაზე ან სხვა უსაფრთხო მოწყობილობაზე დამატებით ექვსნიშნა კოდის გენერირებას, რომლითაც სრულდება ავტორიზაცია.
7. ავტორიზებული მომხმარებლის სესიის ხანგრძლივობა სისტემაში უმოქმედობის შემთხვევაში განისაზღვრება 30 წუთით. ამ დროის გასვლის შემდეგ ავტომატურად ხდება სისტემიდან გამოსვლა (Log out) და სესიის გასუფთავება.

დანართი N2

სოციალური პროგრამის ფარგლებში სახელმწიფო სასწავლო სამაგისტრო გრანტის მოსაპოვებლად საჭირო დოკუმენტების ნუსხა

1. სტუდენტები რომლებიც არიან:

1.1 საქართველოს ტერიტორიული მთლიანობის, თავისუფლებისა და დამოუკიდებლობისათვის დაღუპულთა, უგზო-უკვლოდ დაკარგულთა და მიღებული ჭრილობების შედეგად გარდაცვლილთა შვილები, სოციალური პროგრამის ფარგლებში სახელმწიფო სასწავლო სამაგისტრო გრანტით დაფინანსების მოსაპოვებლად, ამ ბრძანებით განსაზღვრულ ვადებში უნდა ატვირთონ:

- სსიპ ვეტერანების საქმეთა სახელმწიფო სამსახურის მიერ სტუდენტის სახელზე გაცემული ცნობა, რომლითაც დასტურდება, რომ სტუდენტი არის საქართველოს ტერიტორიული მთლიანობის, თავისუფლებისა და დამოუკიდებლობისათვის დაღუპულის, უგზო-უკვლოდ დაკარგულის და მიღებული ჭრილობების შედეგად გარდაცვლილის შვილი.

1.2 1998 წლის მაისისა და 2004 წლის აგვისტოს მოვლენების დროს დაღუპულთა შვილები, სოციალური პროგრამის ფარგლებში სახელმწიფო სასწავლო სამაგისტრო გრანტით დაფინანსების მოსაპოვებლად, ამ ბრძანებით განსაზღვრულ ვადებში უნდა ატვირთონ:

- სსიპ ვეტერანების საქმეთა სახელმწიფო სამსახურის მიერ სტუდენტის სახელზე გაცემული ცნობა, რომლითაც დასტურდება, რომ სტუდენტი არის 1998 წლის მაისისა ან 2004 წლის აგვისტოს მოვლენების დროს დაღუპულის შვილი.

1.3 საქართველოს ტერიტორიული მთლიანობის, თავისუფლებისა და დამოუკიდებლობისათვის საბრძოლო მოქმედების შედეგად მკვეთრად/მნიშვნელოვნად გამოხატული შეზღუდული შესაძლებლობის მქონე ვეტერანები ან მათი შვილები, სოციალური პროგრამის ფარგლებში სახელმწიფო სასწავლო სამაგისტრო გრანტით დაფინანსების მოსაპოვებლად, ამ ბრძანებით განსაზღვრულ ვადებში უნდა ატვირთონ:

- სსიპ ვეტერანების საქმეთა სახელმწიფო სამსახურის მიერ სტუდენტის სახელზე გაცემული ცნობა, რომლითაც დასტურდება, რომ სტუდენტი არის საქართველოს ტერიტორიული მთლიანობის, თავისუფლებისა და დამოუკიდებლობისათვის საბრძოლო მოქმედებების შედეგად მკვეთრად/მნიშვნელოვნად გამოხატული შეზღუდული შესაძლებლობის მქონე ვეტერანი ან მისი შვილი.

2. სტუდენტები რომლებიც არიან:

საერთაშორისო მშვიდობის და უსაფრთხოების შენარჩუნებისა და აღდგენის ოპერაციებში ან სხვა სახის სამშვიდობო საქმიანობის განხორციელებისას გარდაცვლილის ან ამ მისიებში მიღებული ჯანმრთელობის დაზიანების შედეგად გარდაცვლილი საქართველოს თავდაცვის სამინისტროს სამხედრო მოსამსახურეების შვილები, სოციალური პროგრამის ფარგლებში სახელმწიფო სასწავლო სამაგისტრო გრანტით დაფინანსების მოსაპოვებლად, ამ ბრძანებით განსაზღვრულ ვადებში უნდა ატვირთონ:

- საქართველოს თავდაცვის სამინისტროს მიერ სტუდენტის სახელზე გაცემული ცნობა, რომლითაც დასტურდება, რომ სტუდენტი არის საერთაშორისო მშვიდობის და უსაფრთხოების შენარჩუნებისა და აღდგენის ოპერაციებში, ან სხვა სახის სამშვიდობო საქმიანობის განხორციელებისას გარდაცვლილი ან ამ მისიებში მიღებული ჯანმრთელობის დაზიანების შედეგად გარდაცვლილი სამხედრო მოსამსახურის შვილი.

2.2 საერთაშორისო მშვიდობის და უსაფრთხოების შენარჩუნებისა და აღდგენის ოპერაციებში ან სხვა სახის სამშვიდობო საქმიანობის განხორციელების შედეგად მკვეთრად/მნიშვნელოვნად გამოხატული შეზღუდული შესაძლებლობების სტატუსის მქონე პირები, სოციალური პროგრამის ფარგლებში სახელმწიფო სასწავლო სამაგისტრო გრანტით დაფინანსების მოსაპოვებლად, ამ ბრძანებით განსაზღვრულ ვადებში უნდა ატვირთონ:

- საქართველოს თავდაცვის სამინისტროს მიერ გაცემული ცნობა, რომლითაც დასტურდება რომ სტუდენტი არის საერთაშორისო მშვიდობის და უსაფრთხოების შენარჩუნებისა და აღდგენის ოპერაციებში ან სხვა სახის სამშვიდობო საქმიანობის განხორციელების შედეგად მიღებული ჯანმრთელობის დაზიანების მქონე სამხედრო მოსამსახურე;

- საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს სოციალური მომსახურების სააგენტოს მიერ გაცემული ცნობა, რომლითაც დასტურდება რომ სტუდენტი არის მკვეთრად/მნიშვნელოვნად გამოხატული შეზღუდული შესაძლებლობის სტატუსის მქონე პირი.

2.3 საერთაშორისო მშვიდობის და უსაფრთხოების შენარჩუნებისა და აღდგენის ოპერაციებში ან სხვა სახის სამშვიდობო საქმიანობის განხორციელების შედეგად მკვეთრად/მნიშვნელოვნად გამოხატული შეზღუდული შესაძლებლობების სტატუსის მქონე პირების შვილები, სოციალური პროგრამის ფარგლებში სახელმწიფო სასწავლო სამაგისტრო გრანტით დაფინანსების მოსაპოვებლად, ამ ბრძანებით განსაზღვრულ ვადებში უნდა ატვირთონ:

- საქართველოს თავდაცვის სამინისტროს მიერ გაცემული ცნობა, სამხედრო მოსამსახურის (მშობლის) საერთაშორისო მშვიდობის და უსაფრთხოების შენარჩუნებისა და აღდგენის ოპერაციებში ან სხვა სახის სამშვიდობო საქმიანობის განხორციელების შედეგად მიღებული ჯანმრთელობის დაზიანების თაობაზე;

- საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს სოციალური მომსახურების სააგენტოს მიერ გაცემული ცნობა, რომლითაც დასტურდება რომ სტუდენტის მშობელი არის მკვეთრად/მნიშვნელოვნად გამოხატული შეზღუდული შესაძლებლობის სტატუსის მქონე პირი.

3. სტუდენტები, რომლებიც არიან საქართველოს თავდაცვის სამინისტროს სისტემაში, სამსახურებრივი მოვალეობის შესრულებისას დაღუპული სამხედრო მოსამსახურეების შვილები, სოციალური პროგრამის ფარგლებში სახელმწიფო სასწავლო სამაგისტრო გრანტით დაფინანსების მოსაპოვებლად, ამ ბრძანებით განსაზღვრულ ვადებში უნდა ატვირთონ:

-.საქართველოს თავდაცვის სამინისტროს მიერ სტუდენტის სახელზე გაცემული ცნობა, სამხედრო მოსამსახურის (მშობლის) სამსახურებრივი მოვალეობის შესრულებისას გარდაცვალების თაობაზე.

4. სტუდენტები, რომლებიც არიან მკვეთრად/მნიშვნელოვნად/ზომიერად გამოხატული შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირები, სოციალური პროგრამის ფარგლებში სახელმწიფო სასწავლო სამაგისტრო გრანტით დაფინანსების მოსაპოვებლად, ამ ბრძანებით განსაზღვრულ ვადებში უნდა ატვირთონ:

სამედიცინო ცნობა (ფორმა №IV-50/4 ან №IV-50/2), ან საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს სახელმწიფო კონტროლს დაქვემდებარებული საჯარო სამართლის იურიდიული პირის მიერ გაცემული შესაბამისი დოკუმენტი, რომლითაც დასტურდება, რომ სტუდენტი არის შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირი.

5. სტუდენტების, რომლებიც რეგისტრირებულნი არიან სოციალურად დაუცველი ოჯახების მონაცემთა ერთიან ბაზაში და მათი ოჯახების სარეიტინგო ქულა ტოლია ან ნაკლებია 70 000-ზე, კატეგორიისადმი კუთვნილება დასტურდება სსიპ - განათლების მართვის საინფორმაციო სისტემაში ასახული სსიპ - სოციალური მომსახურების სააგენტოს სოციალურად დაუცველი ოჯახების მონაცემთა ერთიანი ბაზის მონაცემების საფუძველზე.

8. პორტალის მიერ cookie-ის (ტექსტური ფაილები, რომლებიც ინტერნეტ-ბრაუზერის საშუალებით ინახება კომპიუტერულ სისტემაში) გამოყენებისას აუცილებელია მომხმარებლის ინფორმირება.

9. პორტალის პროგრამული უზრუნველყოფის/დეველოპმენტის დასრულების შემდეგ, მართვის სისტემა უზრუნველყოფს პორტალის უსაფრთხოების დონეების განსაზღვრას და ხარვეზების არსებობის შემთხვევაში მათ გამოსწორებას.

მუხლი 7. პორტალზე განხორციელებული ოპერაციების შენახვა (ლოგირება)

პორტალი უზრუნველყოფს ადმინისტრატორის და კოორდინატორის როლის მქონე მომხმარებლის ქმედებების ლოგირებას, კერძოდ, შემოსულ განცხადებაზე სტატუსის ცვლილების ტიპისა (დადასტურება და დახარვეზება) და დროის შენახვას.

მუხლი 8. გარდამავალი დებულებანი

კანონმდებლობით განსაზღვრული ადმინისტრაციული წარმოების ვადების დაცვის უზრუნველსაყოფად, პორტალში დაწყებული ადმინისტრაციული წარმოების სისტემის გაუმართაობის/ტექნიკური მიზეზების გამო გაგრძელების შეუძლებლობის შემთხვევაში, სამინისტროს შესაბამისი სტრუქტურული ერთეული უფლებამოსილია უზრუნველყოს დაწყებული ადმინისტრაციული წარმოების გაგრძელება ალტერნატიული საშუალებით (ელექტრონული დოკუმენტბრუნვის სისტემა), ხოლო განხორციელებული პროცესის შედეგი შესაძლებისდაგვარად უმოკლეს ვადაში ასახოს პორტალზე ამ წესის გათვალისწინებით.